2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები

საჯარო ინფორმაცია ღიაა და ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია (თუ ის არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას) მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა (ასლი, ამობეჭდილი ან ელექტრონული ვერსია), აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი;
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილება N 219 საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განითარების მინისტროს 2013 წლის 19 დეკემბრის N1-1/379 ბრძანება ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ”;
4.სსიპ -ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 19 მაისის N ს-50 ბრძანება ,,მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ”;
5. საქართველოს კანონი ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ”;
6. სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის ბრძანება N 12/01-12 სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება N 1-1/245 ,, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ”